ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1907604

ნომერი: AR1308342

თარიღი : 08.05.2015

გაცემის თარიღი : 20.05.2015

გაცნობის თარიღი : 21.05.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თვალჭრელიძე , N 2 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა თვალჭრელიძე , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჰმაიაკ არსენიან პ/ნ 01597002252
- თბილისი, ლ.გოთუას ქ #10

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია ავტოსადგომის მოწყობა
  ახალი მშენებლობა
- ღია ავტოსადგომის მოწყობა
  ახალი მშენებლობა
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  კორექტირება

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე I კლასის ღობის და ღია ავტოსადგომის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, თვალჭრელიძის ქუჩა #2–ში, შ.პ.ს „ჯეო–კოოპ“–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #006/045), კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე I კლასის ღობის და ღია ავტოსადგომის მოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები _ თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომლის მონტაჟი არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური”.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – რეგ. N 882015020956 21/01/2015წ. საკადასტრო კოდი N 01.19.18.006.045; არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული №1628941 05.12.2014წ. გადაწყვეტილება; კორექტირებული ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში,სექტორი – სამგორი, თვალჭრელიძის ქუჩა #2–ში, შ.პ.ს „ჯეო–კოოპ“–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #006/045), კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე I კლასის ღობის და ღია ავტოსადგომის მოწყობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ: ღობე უნდა განთავსდეს შპს. „ჯეო–კოპ“–ის საკუთრებაში არსებულ N 01.19.18.006.045 მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.